

ამერიკაში რეფერენდუმი საპროტესტო აქციებით აღინიშნა

Author: Afgan Mukhtari

ოპოზიციური ჯგუფების განცხადებით, რეფორმა უკვდავყოფს ამჟამინდელი ხელისუფლების ძალაუფლებას.

ბაქო მკაცრად ჩაახშო ოპოზიციის პროტესტი საკონსტიტუციო რეფერენდუმის წინ, რომელიც 26 სექტემბერს არის დაგეგმილი და ამკარად ემსახურება პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ძალაუფლების გამყარებას.

ცვლილებების გატარების შედეგად, საპრეზიდენტო ვადა გაიზარდა ხუთიდან შვიდ წლამდე. ასევე, პრეზიდენტს მიენიჭება პარლამენტის დათხოვნის და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის უფლება. ცვლილებების განსახორციელებლად რეფერენდუმში ამომრჩეველთა 25%-ის მონაწილეობა არის საკმარისი.

უფრო მეტიც, გაუქმდება საპრეზიდენტო კანდიდატისთვის აუცილებელი მინიმალური ასაკობრივი ზღვარი – 35 წელი, რაც განსაკუთრებით დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

„ეს ცვლილებები გამიზნულია ალიევის სახელისუფლებო მმართველობის უკვდავსაყოფად. ნათელია, რომ სამეფო ტახტს უმცროსი პეიდარ ალიევისთვის ამზადებენ. რესპუბლიკას მონარქიად გადაქცევას უპირებენ, სადაც სახელმწიფოს მართვა მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადადის,“ – აცხადებს ულვი ჰასანლი, ახალგაზრდული მოძრაობა ნიდას საბჭოს წევრი.

„ალიევის შესამე თაობა, ეს არის ყველაზე საშიხელი, რაც ქვეყანას შეიძლება დაემართოს,“ – დასძინა მან.

ალიევის ოჯახის ხელისუფლებაში ყოფნა ორ ათეულ წელზე მეტს ითვლის. ილჰამ ალიევმა საპრეზიდენტო პოსტი 2003 წელს მამის, პეიდარ ალიევისგან ჩაიბარა, რომელიც მანამდე ათი წლის განმავლობაში მართავდა ქვეყანას. ილჰამ ალიევის ვაჟი, ასევე პეიდარი, 19 წლისაა და მასაც მამის მემკვიდრედ ამზადებენ.

ჰასანლის თქმით, ალიევის ოჯახი ქვეყნის მართვას კერძო კომპანიის მსგავსად აპირებს.

„პრეზიდენტობის ასაკობრივი ზღვარი უქმდება. იქნება ახალი, პირველი ვიცე-პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობები, რომელთაც მინიჭებათ პრეზიდენტის მინისტრზე მეტი უფლებები. თქვენი აზრით, რა სახის სურათი იხატება ამის შემდეგ?“ – გვეკითხება ის.

რეფერენდუმის გასაპროტესტებლად ოპოზიციურმა ჯგუფებმა ბაქოში სამი მასშტაბური საპროტესტო აქცია გამართეს. დემოკრატიული ძალთა ეროვნული საბჭოს ორგანიზებით მიტინგები მოეწყო 11 და 17 სექტემბერს, ხოლო 18 სექტემბერს გამართულ აქციას ოპოზიციური პარტია მუსავათი ხელმძღვანელობდა.

ეროვნულ საბჭოს, რომელიც სამი წლის წინ, ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების დროს შეიქმნა, ახლა ამერიკის სახალხო ფრონტის პარტია ხელმძღვანელობს. თავდაპირველად, მასში პარტია მუსავათიც და სხვა პარტია პარტიებიც შედიოდა. მუსავათმა საბჭო 2014 წელს დატოვა.

რეფერენდუმის გასაპროტესტებლად ქუჩაში ათასობით ადამიანი გამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა საპროტესტო აქცია სანქცირებული იყო, პოლიციამ მიტინგამდეც და მის შემდეგაც ათობით ადამიანი დააკავა.

„ბაქოშიც და რეგიონებშიც პოლიცია დევნის რეფერენდუმის მოწინააღმდეგეებს,“ – აცხადებს თურან იბრაჰიმი, ამერიკის სახალხო ფრონტის პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი. „ჯერ კიდევ მიტინგების ჩატარებამდე სახალხო ფრონტის პარტიის სამოცდაათი წევრი დააკავეს სხვადასხვა საბაბით.“

მიუხედავად იმისა, რომ პირველმა საპროტესტო აქციამ იმედიანების გარეშე ჩაიარა, 17 სექტემბერს მაჰსულის სტადიონზე გამართული მიტინგი ოცდაათი მონაწილის, მათ შორის ჟურნალისტის, დაკავებით დასრულდა.

„მიტინგის ბოლოს, ხალხი უკვე ტოვებდა სტადიონს, როდესაც პოლიცია მათ თავს დაესხა,“ – ამბობს იბრაჰიმი. „პოლიციელებს შორის იყვნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულებიც, რომლებიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ. ისინი ურტყამდნენ აქციის მონაწილეებს და ძალით ტენიდნენ პოლიციის ავტობუსებში. უმეტესობა რამდენიმე საათის შემდეგ გაათავისუფლეს, თოთხმეტი აქტივისტი კი უკანონოდ ჰყავდათ პატიმრობაში ორი დღის განმავლობაში. ამასთან ერთად, ამ პერიოდში, მათ უმეტესობას საჭმელსაც არ ატევენდნენ.“

ბაქოს პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, საპროტესტო აქციის მონაწილეები საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო დააკავეს.

19 სექტემბერს გამართა ათი აქტივისტის სასამართლო პროცესი. ცხრა მათგანს შეეფარდა რვადღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა, ხოლო ერთს –ჯარიმის სახით ორასი მანათის გადახდა დააკისრეს.

ნიდას აქტივისტი ალი ნოვრუზოვი მეორე მიტინგამდე ერთი დღით ადრე დააპატიმრეს.

„მომთხოვეს წერილობითი ახსნა-განმარტება პირველ აქციაში მონაწილეობის შესახებ,“ – განაცხადა მან ჩვენთან საუბრისას. „საღამომდე გამაჩერეს და შერე გამოიშვეს იმ პირობით, რომ დილით ისევ გამოვცხადდებოდი. დილით, ცხრა საათზე გამოვცხადდი. ისევ დამაკავეს და მიტინგის დასრულებამდე გამაჩერეს. ძალით გადამპარსეს თავი და ამას იმით მიხსნიდნენ, რომ 15 დღით ვიყავი დაპატიმრებული. მაგრამ არ დამაპატიმრეს. უბრალოდ გამომიშვეს.“

ნიდას კოორდინატორი მასუდ ასგერი აცხადებს, რომ პოლიცია მას 15 სექტემბერის შემდეგ უთვალთვალებდა, 17 სექტემბერს კი ის პოლიციაში დაიბარეს და იქ მთელი დღე გააჩერეს.

„მიტინგის, რომ 11 სექტემბერის მიტინგზე ყოფნის გამო დამაკავეს. ღიად მაყენებდნენ შურაცხყოფას, მაკინებდნენ და მეუბნებოდნენ, რომ მიტინგებზე არ უნდა წავსულიყავი. რიგითი პოლიციელი დაწყებული, განყოფილების უფროსი დამთავრებული, ყველა გვაყენებდა შურაცხყოფას, აქციის მონაწილეებსაც და ორგანიზატორებსაც. მამცირებდნენ და ამიძვების კეთებას მაიძულებდნენ,“ – განაცხადა ასგერმა ჩვენთან საუბრისას.

ორივე ახალგაზრდა აქტივისტი მათი უკანონო დაკავებისა და დამამცირებელი მოპყრობის გამო სასამართლოში ჩივილს აპირებს.

მუსავათის ბორდის წევრი აბულფაზ სადიგბეილი გვიყვება, რომ 15 სექტემბერიდან 18 სექტემბერის ჩათვლით პარტიის ორმოცზე მეტი წევრი დააკავეს. 17 და 18 სექტემბერს რეგიონებიდან დედაქალაქში მომავალი ყველა გზა მკაცრად კონტროლდებოდა და ოპოზიციონერ აქტივისტებს არ ეძლეოდათ ბაქოში ჩამოსვლის საშუალება.

17 სექტემბერს ეროვნული საბჭოს მიერ გამართული მიტინგის შემდეგ, მმართველი ახალი ამერიკის პარტიის აღმასრულებელი მდივნის შოადგილემ სიავუმ ნოვრუზოვმა განაცხადა, რომ მიტინგების ორგანიზატორებმა დაფინანსება მიიღეს უცხოური ორგანიზაციებიდან.

„ეროვნული საბჭოს მიტინგებზე შეგროვდა იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელების ნათესავები, რომლებიც შედიან ამ ფორმირებაში. მიტინგების ჩატარებით ისინი ავლენენ თავის მკვეთრ დამოკიდებულებას სახელმწიფოსა და ხალხის მიმართ,“ – განუცხადა მან აზერბაიჯანის საინფორმაციო სააგენტოს (APA).

20 სექტემბერს, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიამ გამოხატა „განსაკუთრებული წუხილი“ ცვლილებების როგორც პროცედურულ, ასევე შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით.

კომისიის განცხადებით, „სამწუხაროა“, რომ კანონპროექტის რეფერენდუმზე გატანა მოხდა პირდაპირ, პარლამენტის ჩართულობის გარეშე.

„ეს საფრთხეს უქმნის ცვლილებების ლეგიტიმურობას,“ – ნათქვამია კომისიის განცხადებაში. „ამასთან ერთად, თუ კანონპროექტს მიიღებენ, ინსტიტუციონალური რეფორმა ძალაში შევა დაუყოვნებლივ და ძალთა ბალანსი პრეზიდენტის სასარგებლოდ გადაიხრება.“

კომისია დასძენს, რომ ახალი საპრეზიდენტო ძალაუფლება იქნება „უპრეცედენტო“, რაც „შეამცირებს“ [ალივის] პოლიტიკურ ანგარიშვალდებულებას და კიდევ უფრო დაასუსტებს პარლამენტს.“

ხელისუფლების ქმედებები გააკრიტიკა „ჰუმან რაიტს ვოჩის“ (Human Rights Watch) ევროპის და ცენტრალური აზიის პროგრამის დირექტორის მოადგილემ, რეიჩელ დენბერმაც.

„როდესაც ავტორიტარულ მთავრობას უნდა კრიტიკის ჩახშობა, ამას ან ხმაურის გარეშე აკეთებს ან თავხედურად,“ – წერს ის ორგანიზაციის ვებგვერდზე. „დღეს, აზერბაიჯანი ორივე ხერხს მიმართავს.“

აფგან მუხტარლი

Location: Azerbaijan
Topic: Regime

Source URL: <https://iwpr.net/ka/global-voices/%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97>